*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი*

# *სამაგისტრო პროგრამა*

# *ინფორმაციული სისტემები*

# Information Systems

კურსდამთავრებულს მიენიჭება:

ინფორმაციული სისტემების მაგისტრი

Master of Information Systems

2022

## პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

## პროგრამის აღწერილობა

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად) | **ინფორმაციული სისტემები**<br>**Information Systems** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ინფორმაციული სისტემების მაგისტრი<br>Master of Information Systems |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება | **პროგრამის მოცულობა 120 კრედიტი**<br>• ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები -35 კრედიტი<br>• კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი<br>• არჩევითი სასწავლო კურსები -25 კრედიტი<br>• სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრედიტი<br><br>**პროგრამა შედგება შემდეგი ორი არჩევითი კონცენტრაციისაგან:**<br><br>**კონცენტრაცია A - ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი** კონცენტრაცია A ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ინფორმაციული სისტემების მიმართულებით.<br><br>**კონცენტრაცია B - ინტელექტუალური** კონცენტრაცია B ორიენტირებულია სამეცნიერო კვლევებზე თანამედროვე ინტელექტუალური სისტემების მიმართულებით.<br><br>პროგრამა დაფუძნებულია ცნობილი კომპიუტერული საზოგადოებების: The Association for Computer Machinary (ACM, http://www.acm.org) დაThe Aassociation for Information Systems (AIS) საუნივერსიტეტო გარემოში ინფორმაციული სისტემების მიმართულებით კურიკულუმის შედგენის მეთოდოლოგიაზე. |
| სწავლების ენა | ქართული |
| პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი | გია სირბილაძე<br>პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი;<br><br>ბიძინა მიდოდაშვილი<br>ასოცირებული პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი. |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;<br>• სულ მცირე 10 ECTS კრედიტი უმაღლესი მათემატიკის დისციპლინებში;<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ზეპირი გამოცდა სპეციალობაში;<br>• გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონის შესაბამისი).<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამა მოამზადებსპროფესიონალს, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული სისტემების საჭიროებებს, ქმნის და ავითარებს ინფორმაციული სისტემების ინფრასტრუქტურას, უწევს არსებულ სისტემებს მომსახურებას, აწარმოებს ეფექტურ ურთიერთობას ორგანიზაციულ |

| | |
|---|---|
| | ქვედანაყოფებს შორის და უწევს კონსულტაციას სხვადასხვა ინფორმაციული სისტემების აპლიკაციებს.<br><br>სამაგისტრო პროგრამის მიზანია:<br>• კურსდამთავრებულს შესძინოს თანამედროვე ინფორმაციული სისტემების მუდმივად განვითარებად სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა შემდგომი პროფესიული საქმიანობისა დაკვლევითი აქტივობის წარმატებული განხორციელებისათვის, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე, აგრეთვე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე;<br>• ხელი შეუწყოს დარგის განვითარებას, ინფორმაციული სისტემების დანერგვას ეკონომიკის, ბიზნესის და ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში. |
| **სწავლის შედეგები** | |
| ცოდნა და გაცნობიერება | პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:<br>• სშ1 - ინფორმაციული სისტემების სფეროში თანამედროვე თეორიების, კონცეფციების ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პრინციპებისა და მათთან დაკავშირებული პროცესების კრიტიკული გააზრება;<br>• სშ2 - ბიზნესის მოდელების იდენტიფიცირება ინფორმაციული სისტემებთან მიმართებაში. |
| უნარები | • სშ3 - ინფორმაციული სისტემების შემუშავებისა და პრაქტიკულ ამოცანებზე მორგების პროცესში ახალიგზების ძიება და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით;<br>• სშ4-ინფორმაციული სისტემების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის ინტეგრირებული გამოყენება;<br>• სშ5 - საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისათვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით და კომუნიკაციის ეფექტური საშუალებების გამოყენებით. |
| პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | • სშ6 - საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა. |
| **სწავლების მეთოდები** | საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>***სალექციო მეთოდი*** - წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ სისტემატიზებული ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი ინფორმაციის სტუდენტური აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს. იგი მსმენელისათვის გადაცემული საბაზო თეორიული ინფორმაციის საფუძველზე ქმნის საგნის შემდგომში დამოუკიდებლად შესწავლის წინაპირობას.<br><br>***სემინარი*** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხებისა და თემების გაღრმავების, უკეთ გარკვევისა დაგაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამპროცესის მიზანმიმართულად წარმართვას უზრუნველყოფს პედაგოგი. სემინარული მუშაობა ტარდება სალექციო მასალისკვალდაკვალ. |

***პრაქტიკული მუშაობის მეთოდი*** გულისხმობს სტუდენტების პრაქტიკულ მოქმედებებს, რომელიც ორიენტირებულია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე.

***პროექტის შემუშავება და/ან პრეზენტაცია*** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელიმოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა დაპასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეულისაკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არისწარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართოაუდიტორიას.

***სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდი*** აქტიურად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა, ახალი იდეებისა და მიდგომების მოძებნა. ასევე, როდესაც საჭიროა ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება. იგი საჭიროებს ისეთ უნარებს, როგორიცაა მოსმენა, ინსტრუქციის დაცვა, უკუკავშირი, თანამშრომლობა, აზრის გაზიარება. ვინაიდან ჯგუფი რამდენიმე ადამიანს აერთიანებს, ჯგუფური მუშაობის დაწყებისას საჭიროა ჯგუფის მუშაობის წესების და ნორმების ჩამოყალიბება, რომელსაც ჯგუფის წევრები დაიცავენ; ეს ნორმები უნდა არეგულირებდეს ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობას და ყველა წევრს თანაბარი მონაწილეობის საშუალებას უნდა აძლევდეს;

***დამოუკიდებელი მუშაობა*** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას,გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობსსაკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა დადასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

***დისკუსია*** წარმოადგენს აქტივობას, როდესაც (როგორცწესი) ლექტორის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სხვადასხვა წინადადების, მიდგომის, იდეის, პრობლემების გადაჭრის მეთოდების ჯგუფური განხილვა და ნიშნავს საწინააღმდეგო პოზიციების პოლემიკას, სხვადასხვა აზრის ზეპირ (იშვიათად წერით) გამოხატვას. დისკუსია მიმდინარეობს ლექტორსა და სტუდენტებს, ან უფრო იშვიათად, მხოლოდ სტუდენტებს შორის.

***დემონსტრირება*** გულისხმობს დავალების, პროცედურის უშუალო შესრულებას, რასაც თან ლექტორის ახსნა-განმარტება ახლავს. დემონსტრაცია მოიცავს ზეპირ ახსნა-განმარტებას (ინსტრუქტაჟს) და კონკრეტული დავალების, ამოცანის კეთებას ფაქტების, პროცესებისა და კონცეფციების ახსნის მიზნით. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების სწავლებისას.

***წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა*** შესაძლებელია ხორციელდებოდეს მასწავლებლის მეთვალყურეობით ან დამოუკიდებლად. არსებობს წიგნზე მუშაობის სხვადასხვა ხერხები: ***კონსპექტირება, ტექსტის გეგმის შედგენა,***

| | |
|---|---|
| | *ტესტირება, ციტირება, ანოტაცია, რეცენზია, ცნობის შედგენა, ფორმალურ-ლოგიკური მოდელის შედგენა.*<br><br>***სავარჯიშო*** გულისხმობს გონებრივი და პრაქტიკული აქტივობების (სამუშაოების) მრავალჯერად გამეორებას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის ან განვითარების მიზნით. თავისი ხასიათით სავარჯიშო შეიძლება იყოს ზეპირი, წერითი, გრაფიკული და სასწავლო-შრომითი.<br><br>***ინდუქცია*** გულისხმობს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლების პროცესში აზრის მსვლელობა კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, კერძო ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული.<br><br>***დედუქცია*** გულისხმობს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლების პროცესში აზრის მსვლელობა ზოგადიდან კონკრეტულისაკენ არის მიმართული.<br><br>***ანალიზი*** გულისხმობს სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რითაც მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;<br><br>**სინთეზი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;<br>**ელექტრონული საშუალებებით სწავლა** გულისხმობს სწავლას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლის პროცესისყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც.<br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში. |
| შეფასების წესი | სტუდენტის შეფასების კომპონენტები დამოკიდებულია სასწავლო კურსის სპეციფიკაზე და მოიცავს:<br><br>მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;<br>შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;<br>სემესტრის (ტრიმესტრის) დასკვნითი გამოცდის შეფასებას;<br>ზეპირი/წერითი გამოცდა;<br>ზეპირი/წერითი გამოკითხვა;<br>პრაქტიკული/თეორიულიდავალებისშესრულება;<br>პროექტი;<br>ტესტი;<br>პრეზენტაცია;<br>სამუშაოჯგუფშიმუშაობა;<br>დამოუკიდებელი კვლევა.<br><br>შეფასების კრიტერიუმები გაწერილია კონკრეტულ სილაბუსებში.<br>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; |

| | |
|---|---|
| | (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br>ორი სახის უარყოფითი შეფასება:<br>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. |
| დასაქმების სფეროები | ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმება შესაძლებელი იქნება:<br>• შესაბამისი პროფილის სასწავლო - კვლევით დაწესებულებებში;<br>• შესაბამისი პროფილის დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ფირმებში; |
| სწავლისგაგრძელებისშესაძლებლობა | ინფორმაციული სისტემების მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მონათესავე მიმართულების სადოქტორო პროგრამებზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. |
| სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის | • 2250 ლარი ქართველი სტუდენტებისთვის |
| პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი | **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**<br>**სასწავლო სივრცე: აუდიტორიები**<br>თსუ XI კორპუსი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის კომპიუტერული ლაბორატორია, აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები პროექტორებით: 401-420 (30 ან 60 $მ^2$ ) 15 ან 30 კომპიუტერით;<br>თსუ XI კორპუსი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ორი დარბაზით (60 $მ^2$ ). |

დანართი №2

# სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ინფორმაციული სისტემები
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
კრედიტების რაოდენობა: 120, მათ შორის:

- სავალდებულო საგნები 35 კრედიტი
- კონცენტრაციის სავალდებულო საგნები 30 კრედიტი (A ან B კონცენტრაცია)
- არჩევითი საგნები 25კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: გია სირბილაძე, ბიძინა მიდოდაშვილი
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 76/2020 (30.07.2020)
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022

პროგრამის სტრუქტურა

| სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | კოდი | სასწავლო კურსის სახელწოდება | ECTS | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | | | | | | | ლექტორი / ლექტორები |
| | | | | ლექცია | სემინარი | პრაქტიკული / | ჯგუფური | | | I | II | III | IV | | | | | |
| სავალდებულო სასწავლო კურსები 35 კრედიტი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | MIS101 | ინფორმაციული მოდელები და სისტემები | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | × | | | | | | | | თ.მანჯაფარაშვილი |
| 2 | MIS103 | მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები (მბმს) | 5 | 15 | 15 | | | | წინაპირობის გარეშე | × | | | | | | | | მ.ხაჩიძე, მ. არჩუაძე |
| 3 | MIS104 | დაპროგრამების ტექნოლოგიები I | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | × | | | | | | | | ა. ვარშანიძე |
| 4 | MIS106 | ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი | 5 | 15 | 30 | | | | MIS101 ან MIT11 | | × | | | | | | | თ.მანჯაფარაშვილი |
| 5 | MIS109 | ინფორმაციული სისტემების ანალიზი | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | × | | | | | | | | გ. სირბილაძე |
| 6 | MIS110 | ინტელექტუალური სისტემების მოდელები MATLAB-ში | 5 | 15 | 30 | | | | MIS101 ან MIT11 ან „კონკრეტული მა-თემატიკა“ MA (CS) | | × | | | | | | | გ.სირბილაძე |
| 7 | MIS111 | ინფორმაციული სისტემების დიზაინი | 5 | 15 | 30 | | | | MIS101 ან MIT11 | | × | | | | | | | ზ.მიდოდაშვილი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | MIS200 | სამაგისტრო ნაშრომი | 30 | | | | | | სამაგისტრო პროგრამის 90 კრედიტი (მათ | | | | × | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | შორის 65 სავალდებულო) | | | | | | | | | |
| **კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები 30 კრედიტი (A და B კონცენტრაციები)** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **9** | MIS105 | ორგანიზაციის ინფორმაციული მოდელები (A) | 5 | 15 | 30 | | | | MIS101 ან MIT11 | | | ✕ | | | | | | თ.მანჯაფარაშვილი |
| **10** | MIS213 | პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა (A) | 5 | 15 | 30 | | | | MIS104 ან MIT11 | | | ✕ | | | | | | თ.მანჯაფარაშვილი |
| **11** | MIS214 | პროექტების მენეჯმენტი (A) | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | | | ✕ | | | | | | ფ. დვალიშვილი |
| **12** | MIS215 | ადამიანი-კომპიუტერი ურთიერთქმედებები (A) | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | | | ✕ | | | | | | გ.ბესიაშვილი |
| **13** | MIS216 | ბაზარზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები (A) | 10 | 15 | 45 | | | | MIS103 ან MIT11 | | | ✕ | | | | | | თ.მანჯაფარაშვილი |
| **14** | MIS217 | გადაწყვეტილების მიღების მოდელები და სისტემები (B) | 10 | 15 | 45 | | | | MIS101 ან MIT11 | | | ✕ | | | | | | გ.სირბილაძე |
| **15** | MIS218 | აგენტების თეორია გადაწყვეტილებების მიღების სისტემებში (B) | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | | | ✕ | | | | | | ზ.ქოჩლაძე |
| **16** | MIS219 | გამოთვლითი ინტელექტის სისტემები (B) | 10 | 15 | 45 | | | | წინაპირობის გარეშე | | | ✕ | | | | | | ფ.დვალიშვილი |
| **17** | MIS220 | დიდმონაცემთა ნაკრებების დამუშავება(B) | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | | | ✕ | | | | | | ზ. მიდოდაშვილი |
| **არჩევითი სასწავლო კურსები 30 კრედიტი**<br>**(სტუდენტი ირჩევს 25 კრედიტს. სასწავლო კურსების არჩევა (მათი წინაპირობის გათვალისწინებით)აგრეთვე შესაძლებელია სამაგისტრო პროგრამებიდან „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ და „კომპიუტერული მეცნიერება“ (არაუმეტეს 10 კრედიტისა))** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **18** | MIS102 | პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია I * | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | | ზ. მიდოდაშვილი |
| **19** | MIS107 | პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია II* | 5 | 15 | 30 | | | | MIS102 | | | | | | | | | ა. ვარშანიძე |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **20** | MIS108 | დაპროგრამების ტექნოლოგიები II* | 5 | 15 | 30 | | | | MIS104 | | | | | | | | | ა. ვარშანიძე |
| **21** | MIS120 | კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება* | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | | ლ. მირცხულავა |
| **22** | MIS121 | ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა* | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | | გ.ბესიაშვილი |
| **23** | MIS222 | ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა* | 5 | 15 | 30 | | | | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | | ზ.ქოჩლაძე |

* - შესაძლებელია გააქტიურდეს ნებისმიერ სემესტრში.

- სამაგისტრო პროგრამის **„ინფორმაციული სისტემები“** ახალი რედაქციით (აკადემიური საბჭოს #76/2020 დადგენილება) დამტკიცებამდე ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ დაასრულონ სამაგისტრო პროგრამა ამ დადგენილების მიღებამდე არსებული რედაქციით.
- საგანთა შესაბამისობა განხორციელდეს შემდეგი სქემით:

ძირითადი სასწავლო კურსებისათვის განახლებულ სასწავლო პროგრამასთან შეთანადება განხორციელდება შემდეგი სქემით:

| | **პროგრამის ძველი ვერსიის საგნები** | | **განახლებული პროგრამის საგნები** | |
|---|---|---|---|---|
| N | **სასწავლო კურსის სახელწოდება** | ECTS | **სასწავლო კურსის სახელწოდება** | ECTS |
| 1. | საინფორმაციო სისტემების ინჟინერია (პრაქტიკა) | 5 | ორგანიზაციის ინფორმაციული მოდელები | 5 |
| 2. | ბაზარზე გამოყენებული საინფორმაციო სისტემები | 5 | ბაზარზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები | 5 |
| 3. | მონაცემთა ბაზები II | 10 | დიდ მონაცემთა ნაკრებების დამუშავება | 5 |
| | | | ადამიანი-კომპიუტერი ურთიერთქმედებები | 5 |
| 4. | პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა | 10 | პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა | 5 |
| | | | პროექტების მენეჯმენტი | 5 |
| 5. | გადაწყვეტილების მიღების ინტელექტუალური სისტემები | 10 | გადაწყვეტილების მიღების მოდელები და სისტემები | 10 |
| 6. | აგენტების თეორია გადაწყვეტილების მიღების სისტემებში | 5 | აგენტების თეორია გადაწყვეტილებების მიღების სისტემებში | 5 |
| 7. | გამოთვლითი ინტელექტის სისტემები | 10 | გამოთვლითი ინტელექტის სისტემები | 10 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8. | ინფორმაციული მოდელები და სისტემები | 10 | ინფორმაციული  მოდელები და სისტემები | 5 |
| 9. | მონაცემთა ბაზები I | 5 | მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები (მბმს) | 5 |
| 10. | ინფორმაციული სისტემების ინჟინერია I | 5 | ინფორმაციული სისტემების ანალიზი | 5 |
| 11. | დაპროგრამების ტექნოლოგიები I | 5 | დაპროგრამების ტექნოლოგიები  I | 5 |
| 12. | ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი | 10 | ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი | 5 |
| 13. | ინფორმაციული სისტემების ინჟინერია II | 5 | ინფორმაციული სისტემების დიზაინი | 5 |
| 14. | დაპროგრამების ტექნოლოგიები II | 5 | ინტელექტუალური სისტემების მოდელები MATLAB-ში | 5 |
| 15. | სამაგისტრო ნაშრომი | 30 | სამაგისტრო ნაშრომი | 30 |

**აღნიშნული ძალაშია 2022 წლის 1 სექტემბრამდე**

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში საშუალება მიეცეთ პროგრამა გაიაროს  ახალი რედაქციით.

## ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა

| | | ცოდნა და გაცნობიერება | | უნარები | | | ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სშ1 | სშ2 | სშ3 | სშ4 | სშ5 | სშ6 |
| MIS101 | ინფორმაციული მოდელები და სისტემები | M | H | | L | | L |
| MIS103 | თანამედროვე მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (მბმს) | M | M | M | M | | |
| MIS104 | დაპროგრამების ტექნოლოგიები I | H | M | L | M | | H |
| MIS105 | ორგანიზაციის ინფორმაციული მოდელები | | H | | L | | L |
| MIS106 | ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი | | H | | M | | L |
| MIS109 | ინფორმაციული სისტემების ანალიზი | H | M | | L | | M |
| MIS110 | ინტელექტუალური სისტემებისმოდელებიMATLAB-ში | M | | H | | | L |
| MIS111 | ინფორმაციული სისტემების დიზაინი | H | L | | M | | H |
| MIS200 | სამაგისტრო ნაშრომი | M | M | H | M | H | H |
| MIS213 | პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა (A) | H | | | L | | L |
| MIS214 | პროექტების მენეჯმენტი (A) | | M | | H | | L |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| MIS215 | ადამიანი-კომპიუტერი ურთიერთქმედებები (A) | M | | H | | | L |
| MIS216 | ბაზარზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები (A) | | L | | H | | L |
| MIS217 | გადაწყვეტილების მიღების მოდელები და სისტემები (B) | M | | H | | | L |
| MIS218 | აგენტების თეორია გადაწყვეტილებების მიღების სისტემებში (B) | H | | H | | | M |
| MIS219 | გამოთვლითი ინტელექტის სისტემები (B) | | L | M | H | | L |
| MIS220 | დიდ მონაცემთა ნაკრებების დამუშავება (B) | M | L | L | | | |

## ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

| პროგრამის მიზნები / სწავლის შედეგები | კურსდამთავრებულს შესძინოს თანამედროვე ინფორმაციული სისტემების მუდმივად განვითარებად სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა შემდგომი პროფესიული საქმიანობისა და კვლევითი აქტივობის წარმატებული განხორციელებისათვის, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე, აგრეთვე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე; | ხელი შეუწყოს დარგის განვითარებას, ინფორმაციული სისტემების დანერგვას ეკონომიკის, ბიზნესის და ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში. |
|---|---|---|
| სშ1 - ინფორმაციული სისტემების სფეროში თანამედროვე თეორიების, კონცეფციების ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პრინციპებისა და მათთან დაკავშირებული პროცესების კრიტიკული გააზრება; | | |
| სშ2 - ბიზნესის მოდელების იდენტიფიცირება ინფორმაციული სისტემებთან მიმართებაში; | | |
| სშ3 - ინფორმაციული სისტემების შემუშავებისა და პრაქტიკულ ამოცანებზე მორგების პროცესში ახალი გზების ძიება და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით; | | |
| სშ4 - ინფორმაციული სისტემების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის ინტეგრირებული გამოყენება; | | |
| სშ5 - საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისათვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით და კომუნიკაციის ეფექტური საშუალებების გამოყენებით; | | |
| სშ6 - საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა. | | |

## ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

| | | ცოდნა და გაცნობიერება | | უნარები | | | ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სშ 1 | სშ 2 | სშ 3 | სშ 4 | სშ 5 | სშ 6 |
| MIS213 | პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა (A) | | | | | | |
| MIS218 | აგენტების თეორია გადაწყვეტილებების მიმღებ სისტემებში (B) | | | | | | |
| MIS101 | ინფორმაციული  მოდელები და სისტემები | | | | | | |
| MIS106 | ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი | | | | | | |
| MIS215 | ადამიანი-კომპიუტერი ურთიერთქმედებები (A) | | | | | | |
| MIS217 | გადაწყვეტილების მიღების მოდელები და სისტემები  (B) | | | | | | |
| MISI216 | ბაზარზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები (A) | | | | | | |
| MIS219 | გამოთვლითი  ინტელექტის სისტემები (B) | | | | | | |
| MIS200 | სამაგისტრო ნაშრომი | | | | | | |